ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი

სადიპლომო ნაშრომი

თემა: სამხრეთ კავკასიის მონაწილეობა საერთაშორისო ანტიტერორისტულ კოალიციაში

სტუდენტი: ნათია საიქოძე

ხელმძღვანელი: გიორგი გვალია

თბილისი

2011

წინასიტყვაობა

ტერორიზმის საკითხი მნიშვნელოვანია არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის, რადგან ის იქცა უდანაშაულო ხალხთა გამანადგურებელ ძალად. XXI საუკუნეში ორი უკიდურესობა უპირისპირდება ერთმანეთს, ესაა დიპლომატია და ძალადობა, ტერორიზმი. საკვირველია, რომ ეს საუკუნე დიპლომატიის საუკუნედ, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ეპოქად ითვლება და მიუხედავად ამისა ამდენი ძალადობრივი მოვლენები ხდება. ტერორიზმი, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ლეგიტიმური საფუძვეველი და წარმოადგენს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებას, სტაბილურობასა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას.

სამხრეთ კავკასია ავირჩიე კვლევის საგნად იქიდან გამომდინარე, რომ ის არის მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონი. ამ რეგიონს უკავია მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა, იგი წარმოადგენს დერეფანს ევროპასა და აზიას შორის, რეგიონი არის ერთგვარი ხიდი აღმოსავლედიდან დასავლეთისკენ და პირიქით. სწორედ ამიტომ, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ჩემთვის ინტერესის საგნად იქცა. გარდა ამისა, რეგიონთან დაკავშირებული საკითხები, პრობლემები და წარმატებები ჩემს ინტერესებში შედის (მითუმეტეს თუ საქმე მშვიდობასა და სტაბილურობას ეხება) მარტივი მიზეზის გამო, რეგიონში შედის საქართველო, საქართველოს პრობლემები და მიღწევები ჩემი, როგორც მოქალაქის პრობლემა და წარმატებაცაა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....4

თავი I……8

ტერორიზმი, საერთაშორისო უსაფრთხოება და სამხრეთ კავკასია.....8

თავი II……13

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები…….....13

აზერბაიჯანი.....13

აზერბაიჯანის კანონი ტერორიზმის წინააღმდე…….....17

სომხეთი.....19

საქართველო.....25

საქართველოს კანონი ტერორიზმის წინააღმდეგ.....31

თავი III……..33

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების აქტიურობის დონე კონტრტერორიზმში.....33

სავარაუდო პრევენციული ზომები.....35

დასკვნა.....37

გამოყენებული ლიტერატურა.....42